სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი

ვერიფიკაციის ანგარიში

თბილისი 2024

შესავალი

ანგარიში მომზადებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) პროფესიული განათლების ცენტრის (ქ. თბილისი) ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის თინათინ კახნიაშვილის მიერ და წარმოადგენს **2024** წლის **07 ნოემბერი - 14 დეკემბერს** განხორციელებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების შეჯამებას.

ტერმინების განმარტება:

შეფასება - შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესი. შეფასება მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესი უნდა იყოს სწორი (სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური), ხოლო შეფასების შედეგების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია - ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი შიდა მექანიზმია, რომელიც განხორციელდა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) თბილისის ლოკაციაზე. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა: პროფესიული სტუდენტის (შემდგომში „სტუდენტი“) შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების პროცესში ან მისი დასრულების შემდეგ შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით.

ვერიფიკაციის პროცესი და პროცედურები

სტუდენტების შეფასების ვერიფიკაციის პროცესი მოიცავდა შემდეგი საკითხების განსაზღვრას: რისკების სისტემა (შერჩევის მექანიზმი), ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები, ვერიფიკაციის პროცედურები **(დანართი 1 - ვერიფიკაციის პროცედურის მიმართულებები, ინდიკატორები და პასუხისმგებლობა).**

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემა 1.



ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა **3** მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესი წარიმართა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის ზოგადი სქემისა **(სქემა 1)** და ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად **(დანართი 2 - ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი)**.

ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა და ვერიფიკაციის გეგმის შედგენა

პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, პროფესიული განათლების ცენტრის **2024** წლის **05** ნოემბრის **N 15/85-07-01** ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ვერიფიკაციის ჯგუფი (**დანართი 3 - ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**), რომლის შემადგენლობა განისაზღვრა **19** წევრით ქ. თბილისის ლოკაციაზე, კერძოდ: ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის მდივანი/სამუშაო ჯგუფის წევრი ტექნიკურ საკითხებში, **16** დარგის ვერიფიკატორი, **1** განათლების ვერიფიკატორი. ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შემუშავებულ იქნა სამუშაო გეგმა, რომელიც შეთანხმებულ იქნა თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან (**დანართი 4 - შეთანხმება ვერიფიკაციის გეგმის თაობაზე**).

რისკ-ფაქტორები

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი“-დან გამომდინარე რისკების რეესტრში (სისტემაში) შერჩევის მექანიზმით გამოვლინდა: დაბალი, საშუალო, მაღალი რისკ-ფაქტორები და მიენიჭათ შესაბამისი ქულები (**დანართი 5 - რისკების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რისკების რეესტრი**), კერძოდ:

I. პრაქტიკული დავალების სიმრავლის რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა დიფერენცირებულია დავალებების რაოდენობის მიხედვით:**1-3** ქულა);
II. მასწავლებლის მუდმივად ფორმაში ყოფნის რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა - **2**);
III. ერთი ინსტრუმენტით მოდულის რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასების რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა დიფერენცირებულია **1** ინსტრუმენტით შეფასებული შედეგების რაოდენობის მიხედვით: **2-4** ქულა);
IV. დამწყები მასწავლებლის რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა დიფერენცირებულია მასწავლებლად მუშაობის გამოცდილების მიხედვით:**1-3** ქულა);
V. პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების ხშირი მომართვიანობა (მისანიჭებელი ქულა - **4**).
VI. განმეორებითი დადასტურების ხშირი შემთხვევა კონკრეტულ პედაგოგთან ან/და განმეორებით დადასტურებზე გამოყენებული შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტები(მისანიჭებელი ქულა განსხვავდება გადაბარების სიხშირის მიხედვით - 1-2);

პირველ ეტაპზე, ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში, შემდგომი ეტაპი კი მოიცვა დაბალმა და საშუალო რისკებმა; შერჩევა განხორციელდა შემთხვევითობის პრინციპით. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შემოწმდა შერჩეული მოდულების მტკიცებულებები.

შენიშვნა: დავალებების სიმრავლის რისკ-ფაქტორს განსაკუთრებით ყურადღება მიექცა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის შედგენილ შეფასების ინსტრუმენტებში.

ვერიფიკაციის ჯგუფზე ფუნქციების განაწილება

ვერიფიკაციას დაექვემდებარა **2022-2023** წლების მიღების ფარგლებში განხორციელებული და შემუშავებული **5** პროგრამის (საბაჟო საქმე, ბუღალტრული აღრიცხვა, სკოლამდელი აღზრდა, საბიბლიოთეკო საქმე, საფინანსო სერვისები) **48** პროფესიული მოდული (აქედან 38 პროფესიული და 10 ზოგადი მოდული) (**იხ. დანართი 6 - რისკ-ჯგუფის მიხედვით შერჩეული მოდულები და ვერიფიკატორებზე ფუნქციების განაწილება):**

ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ხელმძღვანელობით შედგა ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის **3** შეხვედრა:

პირველ შეხვედრაზე - არჩეულ იქნა სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფის მდივანი და დამტკიცდა სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა (გეგმა-გრაფიკი), რომელიც გაეგზავნა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შესათანხმებლად. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის საკითხები აისახა სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმში (**სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1**);

მეორე შეხვედრაზე - დამტკიცდა წინასწარ შერჩეული რისკ-ჯგუფების მიხედვით შესაფასებელი მოდულებისა და შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესში შექმნილი მტკიცებულებების შემოწმების წარმოდგენილი მექანიზმი; ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, სამუშაო ჯგუფის წევრებზე მოხდა ფუნქციების გადანაწილება (**დანართი 6 - რისკ-ჯგუფის მიხედვით შერჩეული მოდულები და ვერიფიკატორებზე ფუნქციების განაწილება).** დარგის ვერიფიკატორებად სამუშაო ჯგუფში შევიდნენ მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელები ქუთაისის ლოკაციიდან, რომლებიც, არ მონაწილეობდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და ვალიდაციის პროცესში; განათლების ვერიფიკატორად წარმოდგენილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ქუთაისის ლოკაციიდან. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის საკითხები აისახა სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმში (**სამუშაო ჯგუფის ოქმი N 2**);

მესამე შეხვედრაზე - მოხდა პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვა-შეჯამება და შეთანხმება საერთო რეკომენდაციებზე (**სამუშაო ჯგუფის ოქმი N 3**).

ვერიფიკაციის დასკვნისა და სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები (ინდიკატორები), გამოკითხვის ჩატარების მეთოდები

ვერიფიკაციის შედეგების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული ვერიფიკატორის დასკვნის ფორმა, როგორც დარგის, ასევე განათლების ვერიფიკატორებისთვის (**იხ. დანართი 7 - განათლებისა და დარგის ვერიფიკატორების გაერთიანებული დასკვნის ფორმა**). აღნიშნული ფორმიდან ცალ-ცალკე გამოიყო ტექნიკური (ფორმალური) და შინაარსობრივი ნაწილი, შესაბამისად პირველი ნაწილი მიეწოდა განათლების ვერიფიკატორს, ხოლო მეორე - დარგის ვერიფიკატორებს. დარგის ვერიფიკატორებმა განახორციელეს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებათა შინაარსობრივი მხარის შემოწმება, ხოლო განათლების ვერიფიკატორმა - ტექნიკური მხარის შემოწმება წინასწარ შედგენილი ვერიფიკაციის კითხვარების საშუალებით. გამოკითხვა განხორციელდა ცალკეულ პროგრამებზე თითოული მოდულისთვის ინდივიდუალურად, ელექტრონულ ფორმატში **Google Forms** სისტემის გამოყენებით. (**იხ.- „საქაღალდე 1 ვერიფიკატორების დასკვნები“);**

დარგის ვერიფიკატორების მოთხოვნის საფუძველზე, კურსდამთავრებულებმა მონაწილეობა მიიღეს შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით (**დანართი 8 ვერიფიკაციის-კითხვარი-კურსდამთავრებულთათვის**). შშმ/სსმ სტუდენტის შემთხვევაში კი გასაუბრება მოხდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან და შესაბამისად, შეფასდა ამ სტუდენტ(ებ)ისადმი გაწეული მომსახურება.

ჯამში 61 კურსამთავრებულის მიერ შევსებულ იქნა ვერიფიკაციის კითხვარები. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულ ფორმატში **Google Forms** სისტემის გამოყენებით (**იხ. - „საქაღალდე 2 კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები“**).

ვერიფიკაციის შედეგები და მონაცემთა ანალიზი

თითოეული პროგრამის ფარგლებში, მთლიანობაში შეფასდა ცენტრის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა სტანდარტით და დაწესებულების რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით. შესაბამისად, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, ცალ-ცალკე წარმოგიდგენთ ვერიფიკაციის შედეგებს.

ტიპიური - საერთო, ზოგადი ხასიათის ხარვეზები /შენიშვნები

ვერიფიკაციის პროცესის შედეგად გამოიკვეთა ზოგადი ხასიათის ხარვეზები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია შეფასების უწყისის ტექნიკურ და შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურდა შინაარსობრივ მხარესთან, კერძოდ:

- შეფასების ინსტრუმენტი შეთანხმებულია ვალიდატორებთან (რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტში, შესაბამის ველში, ვალიდატორების ხელმოწერით), მაგრამ არ არის შევსებული ვალიდაციის ცალკე დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კრიტერიუმები (ინდიკატორები);
- შეფასების ინსტრუმენტებში წარმოდგენილია ინფორმაცია განმეორებითი დადასტურების შესახებ, მაგრამ არ არის - ინფორმაცია გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურების შესახებ;
- დამატებით შეფასებაზე, ძირითადად, გამოიყენება ის (იგივე) შეფასების ინსტრუმენტი (დავალებები, ტესტები), რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითად შეფასებაზე.
- უმეტეს შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტებში გამოკითხვისას გამოყენებული დახურული ტიპის დავალებებში მოცემულია ოთხზე ნაკლები დისტრაქტორი 1 სწორი პასუხით.
- ხშირ შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტებში არ არის განსაზღვრული ხარვეზის დასაშვები ნორმა და მასწავლებელი სტუდენტისგან ითხოვს დავალების შესრულების მაქსიმალურ ხარისხს.
- უმეტეს შემთხვევაში (როცა შეფასების მიმართულებაა - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით) დავალების შეფასების ფურცელში მოდულიდან კოპირებულია შედეგების კრიტერიუმები და არაა განსაზღვრული კონკრეტულ დავალებაში შესაფასებელი პირის მიერ შესასრულებელი ქმედებები.

პროგრამების მიხედვით გამოვლენილი ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები

<u>I საბაჟო საქმე</u>

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2022** წლის მიღების 7 პროფესიული და 2 ზოგადი მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, ასევე, შეფასების პროცესი.

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა, რომ უმეტეს შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური. მხლოდ ერთ-ერთი მოდულის "საბაჟო ზედამხედველობა" შეფასების მიმართულება მე - 3 და მე -4 შედეგში შეცდომითაა მითითებული - ნაცვლად პრაქტიკული დავალებისა არის პროცესზე დაკვირვება. მოდულში "არასატარიფო ღონისძიებები და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი" განსაზღვრულია C გარემო, თუმცა მიმართულება წერილობითი გამოკითხვაა და საჭიროებს გარემო -A-ს.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას 1 მოდულის ინსტრუმენტთან დაკავშირებით გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ: მოდულის - „ინფორმაციული წიგნიერება" - ინსტრუმენტთან მიმართებით - შეცდომით არის მითითებული ჯამური შედეგების შეფასების დროითი რეგლამენტი (ნაცვლად 6 საათისა - **3** საათი).

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას დადასტურდა, რომ შეფასების მტკიცებულება ორი სტუდენტის შემთხვევაში არ არის სანდო. კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ორი სტუდენტის შემთხვევაში, მათ მიერ შესრულებული დავალება არ არის სრულყოფილი მე-3 შედეგის დასადასტურებლად. მოდული - "საბაჟო ზედამხედველობა".

მოდულში "სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი" პედაგოგის მიერ სტუდენტის შესაფასებლად მე-2, მე-3 და მე-4 შედეგებში გამოყენებულია პრაქტიკული დავალება, მაშინ, როცა ინსტრუმენტით განსაზღვრულია მიმართულება - წერილობითი გამოკითხვა. (უფრო დეტალურად იხილეთ: „**დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**").

II ბუღალტრული აღრიცხვა

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2022** წლის მიღების ჯგუფის 11 პროფესიული და 2 ზოგადი მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, ასევე, შეფასების პროცესი.

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა: მოდულში - „ბიზნეს ინგლისური“ შეფასების ინსტრუმენტთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ტიპის ხარვეზი - დავალების შესრულების შეფასების ფურცელში პედაგოგის მიერ გადმოტანილია შედეგების შეფასების კრიტერიუმები უცვლელად, მაშინ, როცა შეფასების ფურცელში წარმოდგენილი უნდა იყოს დავალების შეფასების ის კრიტერიუმები/ქმედებები, რომელთა შესრულება აუცილებელია შედეგ(ებ)ის დასადასტურებლად. მოდულში “ პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშების მომზადება” შედეგების დასადასტურებლად განსაზღვრული შეკითხვების რაოდენობა არ არის საკმარისი.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას გამოვლინდა, რომ მოდულებში “მმართველობითი აღრიცხვა” და “ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით” შედეგების დასადასტურებლად სწორადაა მოდულიდან გადმოტანილი შეფასების დრო, თუმცა შედეგ(ებ)ის დასადასტურებლად მიცემული დრო უნდა გადანაწილდეს ორ დღეზე ნაცვლად ერთი დღისა.

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას რაიმე ტიპის ხარვეზი არ გამოვლენილა, რაც, ასევე, დადასტურდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვით. (უფრო დეტალურად იხილეთ: „**დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**“).

III სკოლამდელი აღზრდა

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა “სკოლამდელი აღზრდის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2022** წლის მიღების ჯგუფის მიერ გავლილი 2 ზოგადი და 8 პროფესიული მოდული. განათლებისა და დარგის ვერიფიკატორებმა შეისწავლეს სტუდენტთა მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, ასევე, შემოწმდა შეფასების პროცესის ვალიდურობაც.

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა შემდეგი: მოდულში - „ოჯახისა და თემის ჩართულობა” შეფასების მიმართულებაა - გამოკითხვა და გარკვეულ კრიტერიუმებზე გამოიყენება მხოლოდ "ჭეშმარიტია - მცდარია" ტიპის შეკითხვები/დავალებები, რაც არ წარმოადგენს სტუდენტის ცოდნის (შედეგის/კრიტერიუმის) შეფასების საუკეთესო ვარიანტს.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა შემდეგი: მოდულში „ინგლისური ენა“ (ზოგადი) სასურველია, პროცესზე დაკვირვების შეფასების ფურცელში, დეტალურად იყოს ჩაშლილი შედეგების (ასევე ამ შედეგების შესრულების კრიტერიუმების) მიღწევის, მათი შესაბამისი დავალებების/ქმედებების შესრულების ლოგიკური თანმიმდევრობა. რამდენადაც, პროცესზე დაკვირვებისას, უმეტეს შემთხვევაში, ერთ-ერთი ძირითად მტკიცებულებას სწორედ შეფასების ფურცელში მასწავლებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერი წარმოადგენს.

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას გამოიკვეთა შემდეგი: მოდულის - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში” შეფასების ფურცელში (შეფასების მიმართულება - გამოკითხვა) სასურველია, შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილი იყოს შედეგების, ამ შედეგების კრიტერიუმებისა და მათი შესაბამისი ტესტური შეკითხვის მიხედვით (მაგალითად: შედეგი 1. ..., კრიტერიუმი 1.1. ...., ტესტი 1.1.1. პასუხი და ა.შ.); მოდულში “ინგლისური ენა” (ზოგადი) პროცესზე დაკვირვების შეფასების ფურცელში, დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი შედეგების (ასევე ამ შედეგების შესრულების კრიტერიუმების) მიღწევის, მათი შესაბამისი დავალებების შესრულების ლოგიკური თანმიმდევრობა. (დეტალურად იხილეთ: „**დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**“).

IV საბიბლიოთეკო საქმე

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2022** წლის მიღების ჯგუფის 2 ზოგადი და 6 პროფესიული მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, ასევე, შეფასების პროცესი.

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა შემდეგი ტიპის შენიშვნები: ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი (დამატებითი) შეფასების შესახებ, თუმცა გასაჩივრების / აპელაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული შესაბამის ველში. მოდულში “ საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა” შეფასების ინსტრუმენტის თავფურცელში შეფასების მიმართულება არაა მონიშნული, თუმცა განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში შეფასების ინსტრუმენტი სწორადაა მითითებული.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა შემდეგი ტიპის ხარვეზები: მოდულში “საბიბლიოთეკო მომსახურება” - პროცესზე დაკვირების შეფასების ინსტრუმენტის შესაბამის ველში ძალზე ზოგადად არის წარმოდგენილი შეფასების

პროცესის აღწერა. მასწავლებელი იყენებს როლურ თამაშს, რისი განხორციელების ზოგადი პრინციპები მოცემული უნდა იყოს აღნიშნულ ველში, ხოლო უფრო დეტალური აღწერა - შინაარსის ველში კონკრეტული პრაქტიკული დავალების ფარგლებში. ასევე, სასურველია, შესრულების კრიტერიუმების "ჩაშლებში" (ტექსტში) შეიცვალოს ზმნის პირები, მაგალითად: "აღწერს" შეიცვალოს "აღწერა"-თი, "აწარმოებს" - "აწარმოა"- თი და ა.შ.; ასევე, მოდულში "ინგლისური ენა(ზოგადი) - პროცესზე დაკვირვების შეფასების ფურცელში სწავლის შედეგის დადასტურების წარმოდგენილი პირობიდან გამომდინარე პროფესიულმა სტუდენტმა ყველაფერი უნდა შეასრულოს ზედმიწევნით სწორად ანუ ჩანაწერი არ უშვებს ხარვეზის დასაშვებ ნორმას;

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას მოდულში „ინგლისური ენა" (ზოგადი) გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია შედეგის დადასტურების თარიღი, თუმცა შეფასების მტკიცებულებაში (უწყისში) არაა გაწერილი (იხ. „დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი").

<u>საფინანსო სერვისები</u>

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2023** წლის მიღების ჯგუფების 2 ზოგადი და 6 პროფესიული მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, ასევე, შეფასების პროცესი.

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოდულში „ ინტერპერსონალური კომუნიკაცია" ხარვეზის დასაშვებ ნორმად 20% -ის უნიფიცირებულად დაწესება არ წარმოადგენს საუკეთესო მეთოდს რამდენიმე გარემოებიდან გამომდინარე: 1) მასწავლებელი იყენებს შეფასების მრავალფეროვენ ინსტრუმენტებს და აღნიშნული მიდგომა ვერ „მოერგება" ყველა მეთოდს; 2) პროცენტებში დავალებათა შესრულების ხარისხის გაზომვა საკმაოდ რთულია; 3) წარმოდგენილი პრაქტიკული დავალებებიდან უმეტესი გადის რამდენიმე შედეგის რამდენიმე კრიტერიუმზე, ამდენად, საკმაოდ რთულია, დადგინდეს რომელი შედეგი/შედეგები დაადასტურა/ვერ დაადასტურა პროფესიულმა სტუდენტმა. ასევე, ტექნიკური შეცდომაა გაპარებული ინსტრუმენტში. მოცემულია კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ პრევენციის შესახებ რეგულაცია.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას, მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ყველა პროფესიული მოდულის შემთხვევაში, შეფასების პროცესი არის სრულიად გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას გამოვლინდა შემდეგი ტიპის ხარვეზები: მოდულში „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ დავალების შესრულების შეფასების ფურცელში სასურველია შეიცვალოს ზმნის პირები. მაგალითად: "განსაზღვრავს" შეიცვალოს "განსაზღვრა"-თი, "აყალიბებს" - "ჩამოაყალიბა"- თი და ა.შ. ასევე, პრაქტიკულ დავალებას N1 (გულისხმობს პოვერ-პოინტში პრეზენტაციის შესრულება-წარდგენას) პროფესიული სტუდენტები ასრულებენ ჯგუფურად (3 სტუდენტი ერთად). წარმოდგენილი პრეზენტაციის შეფასებისას რთულია დადგინდეს თითოეული სტუდენტის წვლილი შესრულებულ სამუშაოში (პრეზენტაციის შექმნაში).

მოდულში “ანგარიშის გახსნა-დახურვა” შეფასების მიმართულება „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“, შეფასების ინსტრუმენტის შინაარსის ველში წარმოდგენილ პრაქტიკულ დავალებებში დაკონკრეტდეს დავალების მოცემულობა და დამატებითი ინფორმაციის სახით გაიწეროს ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო დეტალები. მათ შორის, სად სრულდება მოთხოვნილი საჭირო ოპერაცია, მაგალითად: საბანკო პროგრამის დემო ვერსიაში სად და როგორ ხდება საჭირო დოკუმენტაციის ფორმირება/შევსება; იგივე პროგრამაში ან/და დოკუმენტების ის ნაწილი, რომელიც იქმნება პროგრამის გარეშე, სტუდენტმა უნდა შეავსოს მატერიალურად;

მოდულში “სამოქალაქო განათლება” დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, გამორჩენილია დავალების შესრულების დროის რეგლამენტი. მოდულში “დისტანციური საბანკო მომსახურება” დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა-უწყისს არ აქვს სარეგისტრაციო ნომერი. (**იხ. „დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**“).

ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი მიგნებები

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების/დასკვნების ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი:

- პროგრამის - **„საბაჟო საქმე“** - 7 პროფესიული და 2 ზოგადი მოდულების ფარგლებში შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებით იკვეთება მცირედი ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის ხარვეზები და რეკომენდაციები; საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში შექმნილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო; ვერიფიკატორების მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და შენიშვნების განხილვა განხორციელდება მოდულების პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით.
- პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** – 11 პროფესიული და 2 ზოგადი მოდულის ფარგლებში შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებთან და მტკიცებულებებთან მიმართებით

იკვეთება ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის ხარვეზები და რეკომენდაციები, საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო; ვერიფიკატორების მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და შენიშვნების განხილვა განხორციელდება მოდულების პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით.

- პროგრამის - **„სკოლამდელი აღზრდის“** - 2 ზოგადი და 8 პროფესიული მოდულის ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების როგორც ტექნიკურ აგრეთვე შინაარსობრივ/დარგობრივ ნაწილში იკვეთება სხვადასხვა ტიპის ხარვეზები. პროგრამაზე ჩარიცხულია ერთი სსმ პირი, რომელიც საჭიროებდა გამარტივებულ სასწავლო გეგმას. პროგრამის ყველა მოდული მოდიფიცირდა სტუდენტის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობისდა მიხედვით. ცენტრი უზრუნველყოფს დამატებითი კონსულტაციების დანიშვნას სკოლამდელი აღზრდის პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან. მთლიანობაში შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებათა და შეფასების პროცესის ვალიდურობა ეჭვქვეშ არ დგება;
- პროგრამის - **„საბიბლიოთეკო საქმის“** - 2 ზოგადი და 6 პროფესიული მოდულის ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების როგორც ტექნიკურ აგრეთვე შინაარსობრივ/დარგობრივ ნაწილში იკვეთება სხვადასხვა ტიპის ხარვეზები. ცენტრი უზრუნველყოფს დამატებითი კონსულტაციების დანიშვნას საბიბლიოთეკო საქმის პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან. მთლიანობაში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო;
- პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** - შეფასებას დაქვემდებარებული 2 ზოგადი და 6 პროფესიული მოდულის ფარგლებში შექმნილ ინსტრუმენტებთან, შეფასების პროცესთან და მტკიცებულებებთან მიმართებით გამოვლინდა მცირედი ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობანი, გაიცა გარკვეული ტიპის რეკომენდაციები, რომელთა განხილვა მოხდება პროგრამის ხელმძღვანელთან და დარგის სპეციალისტებთან; პროგრამაზე ჩარიცხულია ერთი შშმ პირი, თუმცა სტუდენტი არ საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მან სრულად დაძლია პროგრამა. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო.

რეკომენდაციები

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამების / ცალკეული მოდულების მიხედვით

I საბაჟო საქმე

„საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

მოდულებში - „საბაჟო ზედამხედველობა“ და „საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა“ გასწორდეს შეფასების მიმართულება, გადაიხედოს დავალებები და სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები;

მოდულებში: „საბაჟო დეკლარირება“ „სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი“ სასურველია მეტი მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგების დადასტურების პირობები, ასევე, გადაიხედოს და შეიცვალოს ტესტურ დავალებათა დისტრაქტორები, რათა გამოირიცხოს სწორი პასუხების მიხვედრის/გამოცნობის ალბათობა.

მოდულში „ინფორმაციული წიგნიერება“ გადაიხედოს შეფასების დრო და დაზუსტდეს ხარვეზის დასაშვები ნორმა;

მოდულში „მეწარმეობა“ სასურველია მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნას არა მხოლოდ POWER POINT-ში შესრულებული პრეზენტაცია, არამედ WORD-ის დოკუმენტში შექმნილი პროექტი.

მოდულში „ არასატარიფო ღონისძიებები და სატრანსპორტო საშუალების კონტროლი“ დაკორექტირდეს შეფასების გარემო; ნაცვლად C გარემოსა მიეთითოს გარემო - A, ვინაიდან სტუდენტები ასრულებენ ტესტურ დავალებებს აუდიტორიაში (**იხ. „დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**“).

II ბუღალტრული აღრიცხვა

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

მოდულში „ინგლისური ენა“ სასურველია პედაგოგმა ე.წ. ჩექ-ლისტში არ გადაიტანოს შედეგების კრიტერიუმები უცვლელი სახით, არამედ გაწეროს მიცემული დავალებებიდან გამომდინარე კონკრეტული ქმედებები, რომელთა შესრულების საფუძველზეც შეფასდება პროფესიული სტუდენტი.

მოდულებში „მმართველობითი აღრიცხვა“, „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით“ და „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა“ მასწავლებლებს მიეცეთ რეკომენდაცია, გადახედონ შეფასების ინსტრუმენტში შეფასების დროის რეგლამენტს და გაასწორონ ტექნიკური შეცდომა; (ან წარმოადგინონ შესაბამისი მტკიცებულება, მაგალითად კალენდარული გეგმა და დაასაბუთონ, რატომაა შემცირებული / გაზრდილი მოდულით განსაზღვრული, შეფასებისათვის განკუთვნილი დრო).

მოდულის “პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშების მომზადება” განმახორციელებელმა გადახედოს დავალებათა რაოდენობას და საჭიროებისამებრ დაამატოს შედეგების კრიტერიუმთა სრულყოფილად დადასტურებისათვის.

მოდულში “ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება” შესაბამის ველში არის ინფორმაცია შედეგების დადასტურების პირობების შესახებ, თუმცა გამოყოფილი არ არის რომელი დავალება/დავალებები რომელი სწავლის შედეგს მიეკუთვნება, ამდენად სტუდენტისთვის გაურკვეველი იქნება რომელ შედგეს ვერ დაადასტურებს თუ რომელიმე დავალება ვერ შეასრულა სწორად. შეფასების ინსტრუმენტის ველში „განმეორებითი შეფასების პროცედურები“ გვაქვს ჩანაწერი, რომ: „პროფესიული სტუდენტი აბარებს წინამდებარე მოდულის იმ სასწავლო შედეგ(ებს), რომლის შესრულების კრიტერიუმი ვერ დაადასტურა. ამგვარად, პედაგოგის მიერ უნდა განისაზღვროს დავალება/დავალებები რომელ შედეგს ეკუთვნის (**იხ. „დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**“).

III სკოლამდელი აღზრდა

„სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

მოდულში „ოჯახისა და თემის ჩართულობა“ პედაგოგმა სასურველია „მცდარია-ჭეშმარიტია“ ტიპის დავალებათა ნაცვლად გამოიყენოს ღია შეკითხვები, ან დახურული ტიპის დავალებები მრავალი არჩევითი პასუხით, რითაც მეტად საფუძვლიანად შეძლებს მოდულის განმავლობაში სტუდენტთა მიერ მიღებული ცოდნის შეფასებას.

მოდულებში „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, „ადრეული განათლების კურიკულუმები“ და „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“ სასურველია, პედაგოგმა გაწეროს დავალებები სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების მიხედვით,

რათა გადაბარების პროცესის დროს მეტად ნათლად გამოჩნდეს თუ რომელი შედეგის გადაბარება მოუწევს სტუდენტს კონკრეტული კრიტერიუმის ვერდადასტურებისას.

მოდულებში „ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია“ და „ინგლისური ენა“(ზოგადი) განმახორციელებელმა პირმა სასურველია პროცესზე დაკვირვების შეფასების ფურცელში მკაფიოდ გაწეროს ის ქმედებები/კრიტერიუმები, რომელთა სწორად განხორციელების/შესრულების შემთხვევაში დადებითად შეფასდება სტუდენტი.

მოდულში „მეწარმეობა 3“ საჭიროა, პედაგოგმა ნათლად გაწეროს დავალების მოცემულობა, ნაშრომის შესრულების, გაფორმებისა და წარდგენის(პრეზენტირების) კრიტერიუმები (ნაშრომი სასურველია შესრულდეს ვორდში და უნდა განისაზღვროს შესრულების ისეთი ტექნიკური პარამეტრები როგორიცაა - ნაშრომის მოცულობა, შრიფტი, სტრუქტურა, თავფურცელის გაფორმება და ა.შ.) (**იხ. „დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**“).

IV საბიბლიოთეკო საქმე

„საბიბლიოთეკო საქმი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

მოდულში “ რაოდენობრივი წიგნიერება“ სასურველია, პედაგოგმა გაწეროს დავალებები სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების მიხედვით, რათა გადაბარების პროცესის დროს მეტად ნათლად გამოჩნდეს თუ რომელი შედეგის გადაბარება მოუწევს სტუდენტს კონკრეტული კრიტერიუმის ვერდადასტურებისას.

მოდულებში „საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება“ და „ფონდის დაცვა“ სასურველია შეფასების პროცესის დამატებით პირობებში ან/და დავალების შინაარსის ველში მითითებული იყოს ნაშრომის შესრულებისა და გაფორმების პრინციპები (ნაშრომი სასურველია შესრულდეს ვორდში და უნდა განისაზღვროს შესრულების ისეთი ტექნიკური პარამეტრები, როგორიცაა - ნაშრომის მოცულობა, შრიფტი, სტრუქტურა, თავფურცელის გაფორმება და ა.შ.), აგრეთვე - თუ როგორი ფორმით მოხდება ნაშრომის პრეზენტაცია. ასევე, შესაძლებელია განისაზღვროს კომპონენტები, რომლებითაც საბოლოოდ შეფასდება ნაშრომი. სასწავლო პროცესის მენეჯერსა და სპეციალისტს დაევალოთ ტექნიკური მხარის შესწორება, ვინაიდან გასაჩივრების პროცედურების შესახებ ინფორმაცია არ არის შეტანილი ინსტრუმენტში.

მოდულის ”ფონდის დაკომპლექტება” შეფასების ინსტრუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას აპელაციის პროცედურის შესახებ, შესაბამისად სასწავლო პროცესის

მენეჯერმა/სპეციალისტმა საჭიროა, მკაცრად აკონტროლოს ინსტრუმენტის ტექნიკური ნაწილის გამართულობა.

მოდულში "საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა" არ არის მონიშნული შეფასების რომელ მიმართულებას იყენებს პედაგოგი, შესაბამისად, ინსტრუმენტის შედგენისას, გადახედვისას და ვალიდაციისას მიექცეს ყურადღება ტექნიკურ დეტალებს.

მოდულში „ინგლისური ენა" სასურველია პედაგოგმა ე.წ. ჩექ-ლისტში არ გადაიტანოს შედეგების კრიტერიუმები უცვლელი სახით, არამედ გაწეროს მიცემული დავალებებიდან გამომდინარე კონკრეტული ქმედებები, რომელთა შესრულების საფუძველზეც შეფასდება პროფესიული სტუდენტი (**იხ. „დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**").

V საფინანსო სერვისები

„საფინანსო სერვისები"-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

მოდულში „ინტერპერსონალური კომუნიკაცია" პედაგოგმა, სასურველია, ყველა შედეგისათვის ცალ-ცალკე გაწეროს ხარვეზის დასაშვები ნორმა. ასევე, გადახედოს პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასების ფურცელს და შეცვალოს ზმნის ფორმები(მაგალითად: "განსაზღვრავს" შეიცვალოს "განსაზღვრა"-თი, "აყალიბებს" - "ჩამოაყალიბაა"- თი და ა.შ.); მიზანშეწონილია სტუდენტებმა ინდივიდუალურად შექმნან პრეზენტაციები, დავალებები და ასევე, ინდივიდუალურად წარადგინონ, რათა უფრო ზუსტად და ადეკვატურად მოხდეს თითოეული სტუდენტის მიერ დავალების შესრულებისას/პრეზენტაციის აწყობისას გაწეული შრომის შეფასება. გადაიხედოს ტექნიკური დეტალებიც, კერძოდ, ინსტრუმენტის თავფურცელში ჩარჩენილია კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ შემუშავებული რეგულაცია.

მოდულებში "სამოქალაქო განათლება" და „ სალარო ოპერაციების განხორციელება"| გასწორდეს ტექნიკური დეტალები, კერძოდ, ჩაემატოს შეფასების დროის რეგლამენტი და დაემატოს აპელაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია.

მოდულში „ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება" პედაგოგმა სასურველია განსაზღვროს ხარვეზის/შეცდომის დაშვების ნორმა. ასევე, სასურველია განმეორებით შეფასებაზე შეიცვალოს ინსტრუმენტი. პედაგოგის მიერ გადაიხედოს ამავე მოდულის მე-14 შეკითხვის სავარაუდო პასუხები; პრაქტიკული დავალება წარმოდგენილ იქნას უფრო სრულყოფილი სახით, რათა მოიცვას შედეგის ყველა კრიტერიუმი.

მოდულში „ ანგარიშის გახსნა-დახურვა" პედაგოგმა დავალების შეფასების ფურცელში შეცვალოს ზმნის ფორმები (მაგალითად: "ადგენს" შეიცვალოს "დაადგინა"-თი,

"აწვდის" - "მიაწოდა"- თი და ა.შ.); სასურველია ყველა შეკითხვას ჰქონდეს თანაბარი რაოდენობის დისტრაქტორი, ყველა შედეგისათვის ცალ-ცალკე განისაზღვროს შეცდომის დაშვების მინიმალური ხარისხი. სასურველია: შეფასების მიმართულება "პრაქტიკული დავალება დაკვირვებით" სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების პირობის შინაარსში იყოს შესაბამისი საბანკო პროგრამის უზრუნველყოფა მითითებული, რადგანაც მოდულში შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით დოკუმენტის შედგენის და დამოწმების წესია: დოკუმენტის ელექტრონულად გატარება, ამობეჭდვა და დადასტურება.

მოდულებში „სადეპოზიტო მომსახურება“ და „დისტანციური საბანკო მომსახურება“ დამატებით შეფასებებზე გამოიყენება ის (იგივე) შეფასების ინსტრუმენტი (დავალებები, ტესტები), რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითად შეფასებაზე. სასურველია, გამოკითხვის შემთხვევაში მაინც, გამოყენებულ იქნას განსხვავებული ტესტური დავალებები; დავალების შეფასების ფურცელში შეიცვალოს ზმნის ფორმები, კერძოდ, აწმყო დროიდან გადავიდეს წარსულ დროში; მეტად დაკონკრეტდეს დავალებათა მოცემულობა და დადასტურების პირობები; თითოეული შედეგისათვის განისაზღვროს შეცდომათა დაშვების მინიმალური ხარისხი; პროცესზე დაკვირვების შეფასების ფურცელში გაიწეროს კონკრეტული ქმედებები/დავალებათა შესრულების ის კრიტერიუმები, რომელთა სწორად შესრულების საფუძველზე დადებითად შეფასდება სტუდენტი; (**იხ. „დანართი 9 - ვერიფიკაციის შედეგები და მისი ანალიზი**“).

ინსტიტუციური, ზოგადი (საერთო) და ტექნიკური ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაციები

- მოდულების განმახორციელებლები ყურადღებით მოეკიდონ შეფასების ინსტრუმენტში ტექნიკური მონაცემების სწორად შეტანის საკითხს;
- განათლების ვალიდატორები, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მონაცემების სისწორეს;
- მასწავლებლებმა, გონივრულ ვადაში, არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, არამედ კორპორატიული ფოსტების საშუალებით, მიაწოდონ ინფორმაცია სტუდენტებს: 1) ძირითადი და დამატებითი (განმეორებითი) შეფასების შესახებ, 2) შეფასების შედეგების შესახებ (ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად, ნაშრომების გასწორებისთანავე); 3) აპელაციის პროცედურების შესახებ 4) მოდულის წინაპირობის არსებობის/არარსებობის შესახებ.

- მოდულის განმახორციელებლებმა განიხილონ ის სწავლის შედეგები (პირველ რიგში ვერიფიკაციისას შეფასებულ მოდულებზე, რომლებზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები), სადაც დაფიქსირდა ვერიფიკაციისას დავალებათა რაოდენობის ან/და დროის რეგლამენტის არასაკმარისობა. ასევე, საჭიროებისამებრ, გადაიხედოს შეფასების საათების საკონტაქტო საათებზე გადანაწილების საკითხი სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით;
- მოდულის განმახორციელებლებმა, კონკრეტული შედეგების ფარგლებში, შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას დაიცვან საბაზისო წესები, როგორიცაა: დისტრაქტორების თანაბარი რაოდენობა ყველა დახურული ტიპის დავალებისთვის, დროის რეგლამენტის შესაბამისად დავალებების რაოდენობის განსაზღვრა, პროცესზე დაკვირვების შეფასების ფურცელში ზმნის ფორმების სწორად წარმოება, ტესტურ დავალებაში სწორი პასუხების რაოდენობის მიხედვით დისტრაქტორების რაოდენობის განსაზღვრა(მაგ. 1 სწორ პასუხზე 4 დისტრაქტორი, 2-ზე - 5, 3-ზე მინიმუმ 6 და ა.შ), დავალებების შესრულების მინიმალური ნორმის (დავალებაში შეცდომის დაშვების მინიმალური ხარისხი) დადგენა და ა.შ.
- საჭიროების შემთხვევაში, მოდულების განმახორციელებლებმა, დამატებით შეფასებაზე, შეფასების მიმართულების შესაბამისად შექმნან განახლებული შეფასების ინსტრუმენტი (ახალი ტესტური ან პრაქტიკული დავალებები) სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით.
- მასწავლებლებმა შეფასების პროცესის წარმართვისას მეთვალყურეობა გაუწიონ რამდენად ინდივიდუალურად ასრულებენ სტუდენტები დავალებას, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შეფასების პროცესზე;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი შეფასების პროცესზე დაესწროს მეტი სიხშირით; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეავსონ დასწრების ფორმები; ასევე, შერჩევითობის პრინციპით გადაამოწმოს მასწავლებლების მხრიდან სტუდენტების ნამუშევრების (შესრულებული დავალებების, ამოხსნილი ტესტების და ა.შ.) შეფასების სამართლიანობა და სისრულე.
- პროგრამების ხელმძღვანელებისთვის, პროფესიული მასწავლებლებისთვის, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული პერსონალისთვის დაიგეგმოს შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულებების შექმნასთან და შეფასების პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული ტრეინინგი. მიეწოდოთ ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესში იდენტიფიცირებული ხარვეზების შესახებ; პროფესიულ მასწავლებლებს ხარვეზების გამოსწორების მიზნით მიეცეთ შესაბამისი ვადა და შესწორებული ინსტრუმენტი შემოწმდეს/გადაიხედოს სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ. გაეცნოთ შეფასების ინსტრუმენტში, უწყისსა და კალენდარულ გეგმაში შესული ცვლილებები კიდევ ერთხელ და დაევალოთ თავიანთი ინსტრუმენტების გადახედვა/კორექტირება;

- სასწავლო პროცესის და საქმისწარმოების მენეჯერების მიერ გადაიხედოს უწყისის შევსების ვადები, მონიტორინგი გაეწიოს ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს და გასწორდეს ვერიფიკაციისას გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები.
- პროგრამის ხელმძღვანელებმა, თავიანთი პროგრამების ფარგლებში განახორციელონ რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა/სპეციალისტმა ყველა პროგრამის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი.

ვერიფიკაციის ჯგუფის თავმჯდომარე:	თინათინ კახნიაშვილი _____
ვერიფიკაციის ჯგუფის მდივანი:	ელისო ოსაძე _____